ÉVALUATION DIAGNOSTIQUE DES ÉLÈVES ALLOPHONES

# Compréhension de l'écrit

CYCLE 2

Langue d'origine : géorgien

CANOPÉ

| სახელი: | გვარი: |
|---|---|

NIVEAU : FIN DE CP

## 1

წაიკითხეთ შემდეგი ტექსტი.

დღეს დილით სამის მაღვიძარამ შვიდ საათზე დარეკა. დღეს სკოლის პირველი დღეა. მას დედა ფრთხილად აღვიძებს.

მის საწოლთან სკამი დგას. სამი იღვიძებს და იცვამს. ის იცვამს ლურჯ შარვალს და წითელ ჯემპრს. ის იღებს თავის საყვარელ მწვანე კეპს, რომელსაც ზედ წითელი ვარსკვლავი აქვს.

ფანჯარასთან ასევე დიდი კარადა დგას და კედელზე კიდია კატებიანი სურათი.

| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

## 2

დააკავშირეთ სიტყვა სურათთან.

| | | |
|---|---|---|
|  | ☐ მაღვიძარა ☐ |  |
| | ☐ საწოლი ☐ | |
|  | ☐ სკამი ☐ |  |
| | ☐ კეპი ☐ | |
|   | ☐ დედიკო ☐ |  |
| | ☐ შარვალი ☐ | |
|  | ☐ ბიჭი ☐ |  |
| | ☐ ვარსკვლავი ☐ | |
|  | ☐ კატა ☐ |  |
| | ☐ ჯემპრიw ☐ | |

MI | MF | MS | TBM

## 3

რომელ საათზე დარეკა მისმა მაღვიძარამ? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

- ექვს საათზე
- შვიდ საათზე
- რვა საათზე

MI | MF | MS | TBM

## 4

დახატეთ სამის ტანსაცმელი და დაამატეთ სწორი ფერები.



| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

## 5

დაათვალიერეთ სამის ოთახი. გადახაზეთ დანარჩენი ნახატები.



• ნახატი 1



• ნახატი 2



• ნახატი 3



• ნახატი 4

| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

## NIVEAU : FIN DE CE1

### წაიკითხეთ შემდეგი ტექსტი.

,,უკვე დროა,''— ამბობს მისი დედიკო. ,,კარგი საუზმე მოგიმზადე და სამზარეულოში გელოდები.''

სამი თავის თავს უყურებს კარადის სარკეში. ის ფიქრობს, როგორ იქნებიან ჩაცმულები სხვები. გუშინ საღამოს თავის ტანსაცმელს დიდ ხანს ამზადებდა. მან გააღო კარადა, აიღო შავი ბოტასები და ფეხსაცმლით ხელში ოთახიდან გავიდა.

ბნელ დერეფანში კარგი სუნი ტრიალებდა. სამზარეულოში რომ შევიდა, მაგიდაზე დაინახა გემრიელი ნამცხვრები და ჯერ კიდევ ცხელი კვერცხი, დიდი ფინჯანი ცხელი შოკოლადი და ლამაზი თეფში ხილით, ანანასით, ბანანით და ვაშლით.

### უპასუხეთ შეკითხვებს

## 6

ვინ შეარჩია სამის ტანსაცმელი ? შემოხაზეთ სწორი პასუხი.

- სამიმ
- სამის დედამ
- სამის უმცროსმა ძმამ
- სამის მამამ

| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

## 7

გადახაზეთ ის ხილი, რომელიც არ არის თეფშზე.

- ანანასი
- მარწყვი
- ფორთოხალი
- ბანანი
- ვაშლი
- მსხალი

| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

## 8

სამიმ ცოტა დრო მოანდომა ტანსაცმლის მომზადებას. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

• სწორია • მცდარია

| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

## 9

სამის არ მოსწონს ის, რაც დედამ მომამზადა საუზმისთვის. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

• სწორია • მცდარია

| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

## 10

დანომრეთ ფრაზები ისტორიული თანამიმდევრობით, ყველაზე ძველიდან ყველაზე უკანასკნელამდე.

........................ • სამი გამოვიდა ოთახიდან

........................ • სამიმ გააღო კარადა

........................ • სამიმ ჩაიხედა სარკეში

........................ • სამიმ მოამზადა მისი ტანსაცმელი

| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

## NIVEAU : FIN DE CE2

### წაიკითხეთ შემდეგი ტექსტი.

,,დაუჩქარე ძვირფასო, უკვე დროა,— ამბობს დედა. დარწმუნებული ხარ, რომ მარტოს გირჩევნია წასვლა? გზას იპოვი?

—კი, არ ინერვიულო. რა უნდა შემემთხვას? ყოველ შემთხვევაში, უნდა შევეჩვიო. ასე იქნება ყოველ დღე.''

დედას არაფერი უთქვია და გაიღიმა. თუმცა წუხს. მან ჩაიხუტა შვილი და თავზე ხელი გადაუსვა.  მას ეს არ უყვარს, მაგრამ დედა თავს ვერ იკავებს.

სამის უნდა, რომ ჩანთით წაიღოს ნამცხვრები, იმიტომ რომ ყოველ დღე ათი საათისთვის შივდება. მან არ იცის, შეიძლება თუ არა ამის გაკეთება ახალ სკოლაში, ამიტომ გადაწყვეტს, რომ თან არ წაიღოს.

შემდეგ ის იცვამს ბოტასებს და ჩარბის შენობის კიბეებზე, ქვემოთ.

,,სამი!'' დაუყვირა დედამ, რომელიც წამოეწია, ხელში შვილის კეპით: ,,შენი კეპი! კეპი დაგავიწყდა!''

სამიმ აიღო კეპი და უთხრა:

,,ჩემი მწვანე კეპი! დღეს ამ სკოლაში ჩემი პირველი სასწავლო დღეა და კინაღან ჩემი ირბლიანი კეპის გარეშე გავედი!''

### შემოხაზეთ სწორი პასუხი

**11**

სამის არ უყვარს, როცა დედა თავზე უსმევს ხელს.

- სწორია
- მცდარია

| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

## 12

სამის მიაქვს ნამცხვრები ჩანთით.

• დიახ • არა

MI | MF | MS | TBM

## 13

სად ცხოვრობს სამი?

• ბინაში
• ქარავანში
• კერძო სახლში
• კოშკში

MI | MF | MS | TBM

## 14

რატომ ჩამოირბინა სამის დედამ კიბეებზე?

• რომ აკოცოს
• კეპი მისცეს
• რომ თავზე ხელი გადაუსვას
• იმიტომ რომ აგვიანდება

MI | MF | MS | TBM

## 15

### თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი სამისთვის, რომ ჰქონდეს კეპი ?

• რომ არ დაეკარგოს

• იმიტომ რომ ამხნევებს

• იმიტომ რომ სკოლაში მალე მივიდეს

• იმიტომ რომ დღეს მისი სკოლაში სწავლის ბოლო დღეა

| MI | MF | MS | TBM |
|---|---|---|---|

**Rappel des codes de correction :**
**MI** = maîtrise insuffisante **MF** = maîtrise fragile **MS** = maîtrise satisfaisante **TBM** = très bonne maîtrise
**MI et MF :** non acquis **MS et TBM :** on considère que c'est acquis